ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1240586

ნომერი: AR1211391

თარიღი : 10.04.2014

გაცემის თარიღი : 07.05.2014

გაცნობის თარიღი : 07.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გელოვანი , მდ.დიღმურასა და 16 სართულიან კორპუსს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ტიკურიშვილი პ/ნ 01024012114
- თბილისი ლ.გოთუას ქ. N 22 ბ. 118

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 26.07.2013 წ. #814544 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 10 აპრილს # AR1211391 განცხადებით მომართა შპს „ინვესტ–2“–ის დირექტორის ანა ომიაძის წარმომადგენელმა გიორგი ტიკურიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 26.07.2013 წ. #814544 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: დამკვეთად მაია ლეჟავას, ბორის პაიჭაძის და გიორგი კაპანაძის ნაცვლად შპს„ინვესტ-2“–ის დაფიქსირება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2013 წ. #814544 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი–დიდუბე, გელოვანის გამზირი, მდ. დიღმურასა და 16 სართულიან კორპუსს შორის, მოქ. ბორის პაიჭაძის, გიორგი კაპანაძის და მაია ლეჟავას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #004/009) შეთანხმდა სავაჭრო ობიექტის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 25 ივლისიდან 2015 წლის 25 მარტის ჩათვლით. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტებში დამკვეთებად მითითებულნი არიან მაია ლეჟავა, ბორის პაიჭაძე და გიორგი კაპანაძე.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და დღეის მდგომარეობით მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ინვესტ–2“ (ამონაწერის რეგისტრაციის #882014171059; მომზადების თარიღი: 07/04/2014 წ. საკადასტრო კოდი: #01.13.04.004.009). განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ 26.07.2013 წ. #814544 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულმა პირებმა (მაია ლეჟავა, ბორის პაიჭაძე და გიორგი კაპანაძე) ქ. თბილისში, გელოვანის გამზირი, მდ. დიღმურასა და 16 სართულიან კორპუსს შორის არსებული მიწის ნაკვეთი, შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან და მშენებლობის ნებართვასთან ერთად, საკუთრებაში გადასცეს ხვიჩა სებისკვერაძესა და ზურაბ ჭარბაძეს. ამასთან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B14029766; ამონაწერის მომზადების თარიღი: 21/03/2014) დასტურდება, რომ შპს „ინვესტ-2“–ის (საიდენტიფიკაციო ნომერი:412697862) 50%-50% წილის მფლობელებს წარმოადგენენ ხვიჩა სებისკვერაძე და ზურაბ ჭარბაძე, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს წარმოადგენს ანა ომიაძე.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და 26.07.2013 წ. #814544 ბრძანებაში დამკვეთად მაია ლეჟავას, ბორის პაიჭაძის და გიორგი კაპანაძის ნაცვლად დააფიქსიროს შპს „ინვესტ-2“.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2013 წ. #814544 ბრძანებაში და დამკვეთად მაია ლეჟავას, ბორის პაიჭაძისა და გიორგი კაპანაძის ნაცვლად მიეთითოს შპს „ინვესტ-2“.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2013 წ. #814544 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.